ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 119

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის
ინფორმაცია გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის თაობაზე.

(საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის თაობაზე წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის
№ 119 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის
ინფორმაცია გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია შედგება თექვსმეტი წევრისაგან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას.

კომისია აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ბიუჯეტის ფორმირებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის პროცესში კომისიის ინიციატივით მოხდა თანხების გაზრდა ამა თუ იმ პროგრამებთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამაში განსაზღვრული იყო 1.661,2 ათასი ლარი, რაც გაიზარდა 3.864,0 ლარამდე;

2. გზებისა და ტროტუარების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრული 1.461,2 ათასი ლარი გაიზარდა 3.166,7 ათას ლარამდე;

3. საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამის პროექტით გათვალისწინებული 100,0 ათასი ლარი შეიცვალა 426,8 ათასი ლარით;

4. პროგრამა „კორპუსისათვის“ 780,0 ათასი ლარის ნაცვლად, გამოიყო 973,7 ათასი ლარი;

5. საახალწლოდ ქალაქის გაფორმების პროგრამა 270,0 ლარის ნაცვლად, განსაზღვრულ იქნა 300,0 ათასი ლარით;

6. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის პროექტით წარმოდგენილი 150,0 ათასი ლარი გაორმაგდა და გახდა 300,0 ათასი ლარი;

7. ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამის პროექტით გათვალისწინებული 5.378,0 ათასი ლარი გაიზარდა 5.864,6 ათას ლარამდე;

8. გარე განათების, შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის სისტემების რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი 4,395,0 ლარი შემცირდა 3,913,0 ათას ლარამდე იმის გამო, რომ იქმნებოდა ახალი ა(ა)იპ სერვისი და აღარ იქნებოდა საჭირო ტენდერების გამოცხადება;

9. ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობისათვის განსაზღვრული 80,0 ათასი ლარი გაიზარდა 180,0 ათას ლარამდე;

10. ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული 100,0 ათასი ლარი გაიზარდა 900,0 ათას ლარამდე. პროგრამის გაზრდა მოხდა ახალი ინიციატივის გამო, ესენია: 100 საფეხურიანი კიბეების, თეთრი ხიდისა და გაპონოვის ქუჩის რეაბილიტაცია;

11. მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისა და პანდუსების მოწყობისათვის 150,0 ათასი ლარის ნაცვლად, გათვალისწინებულ იქნა 379,3 ლარი.

გამომდინარე იქედან, რომ 2018 წლის ბიუჯეტის სრული პროექტი არ იყო ფორმირებული ახალი მოწვევის საკრებულოს მიერ, ძირითადად განხორციელდა გასული წლის პროგრამების დასრულება და ვერ მოხდა თანხების მოძიება აღნიშნული პრობლემების სრულად მოგვარებისათვის. მიმდინარე წლის განმავლობაში დაკმაყოფილებულ იქნება მოსახლეობის ნაწილი, ხოლო მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარების დროს გათვალისწინებულ იქნება ის პრობლემები, რომელიც ვერ შესრულდა მიმდინარე წელს.

დღემდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 15 სხდომა, მთლიანობაში განხილულია 75 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის № 239 დადგენილების მე–7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული განკარგულებების პროექტები: „ქალაქ ქუთაისში ვ.კუპრაძის მე-2 შესახვევისათვის ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გზისათვის (საკადასტრო კოდი 03.04.32.749) რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“, „ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №8-ის დასავლეთით არსებული სკვერისათვის ვლადისლავ რაჩკევიჩის სახელის მინიჭების შესახებ“, „ქალაქ ქუთაისში, ნიკეასა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების ბოლო მონაკვეთების შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ და მთავრობის ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე, დადგენილი პროცედურების ჩატარების შემდეგ, შეიმუშავა დადებითი დასკვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო საინფორმაციო ასოციაცია „ასა“, რომელთან ერთად კომისია მონიტორინგს

ახორციელებს ქალაქ ქუთაისში წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად დახმარება გაეწია 70-მდე მოქალაქეს. შემოსული განცხადებების შინაარსი მოიცავს, როგორც თხოვნას მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე, ასევე, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საკითხებს. მაგალითად: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, „ტრენაჟორებისა“ და სკვერების მოწყობა, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოები, გარე განათების დამონტაჟება, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრი სამუშაოები, გზის საფარის მოწყობა და ა.შ.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 სხდომაზე, მ/წლის 31 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჭეიშვილის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია